Thorgeir Thorgeirson v. Iceland

საჩივარი N13778/88

25 ივნისი, 1992

მოცემულ საქმეში მომჩივანი ბატონი თორგეირ თორგეირსონი ისლანდიის მოქალაქე გახლავთ. იგი მწერალია და ცხოვრობს რეიკიავიკში, ისლანდიაში. 1979-დან 1983 წლამდე ისლანდიაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ შემთხვევებს, როდესაც პოლიციას სისასტიკეში ადანაშაულებდნენ. აქედან ათი შემთხვევის შესახებ პოლიციაში იქნა განცხადებული. ბოლო საჩივარი შეიტანა ჟურნალისტმა – სკაფტი ჯონსონმა და შედეგად, სასამართლოში საქმე აღიძრა პოლიციის სამი თანამშრომლის წინააღმდეგ, მათგან ორი გამართლებულ იქნა, ხოლო ერთი – დაპატიმრებული. ეს საქმე ფართოდ გაშუქდა პრესაში და სერიოზული მსჯელობა გამოიწვია საზოგადოებასა და პოლიციას შორის ურთიერთობის თაობაზე. სწორედ ამის შედეგად, მომჩივანმა გამოაქვეყნა ორი სტატია პოლიციის უხეშობის თემაზე ყოველდღიურ გაზეთში, 1983 წლის 7 და 20 დეკემბერს. აღნიშნულ სტატიებში ის ღია წერილით მიმართავდა იუსტიციის მინისტრს, შესაბამის პრობლემებზე უსვამდა ხაზს და იყენებდა შემდეგ ფრაზებს ,,უნიფორმაში გამოწყობილი მხეცები''; ,,ნება მისცეს თავიანთ მხეცებსა და სადისტებს საკუთარი უზნეობის შესაბამისად იმოქმედოს''; "მათი საქციელი იმდენად ტიპიური იყო, რომ ნელ-ნელა ყალიბდებოდა პოლიციის საზოგადოებრივი იმიჯი: ზეწოლა, სიყალბე, უკანონო მოქმედება, მიკერძოება, დაუფიქრებლობა და უუნარობა"; როგორც ამ ახალგაზრდას პალატის მეზობლებმა მითხრეს, მისი ტრავმები რესტორნის ,,ვიშიბალა'-ისა და რამდენიმე პოლიციელის წყალობით იყო გამოწვეული. თავდაპირველად ვერც კი დავიჯერე, მაგრამ შემდეგ საავადმყოფოს პერსონალთან გადავამოწმე და აღმოჩნდა, რომ ისინი მართალს ამბობდნენ; ჩვენ საქმე რეიკიავიკის ღამის რაზმის მსხვერპლთან გვქონდა" და სხვ.

აღნიშნული სტატიების პასუხად იუსტიციის სამინისტრომ მომჩივანს გაუგზავნა 1984 წლის 9 იანვრით დათარიღებული წერილი, სადაც სამინისტრო ატყობინებდა, რომ სტატიებში წამოჭრილი პრობლემები განიხილებოდა სხვადასხვა დონეზე და საკითხი დაყენებული იყო პარლამენტის დღის წესრიგში, ამრიგად, იუსტიციის სამინისტრო აღნიშნულ საკითხს უახლოეს მომავალში მიუბრუნდებოდა ამ სფეროში ჩატარებული კვლევისა და წინადადებების საფუძველზე.

საბოლოოდ, მომჩივანი დამნაშავედ ცნეს რეიკიავიკის პოლიციის მიმართ ცილისწამებაში და დააჯარიმეს. მომჩივანი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ მის წინააღმდეგ ცილისწამების ბრალდებით სისხლის სამართლის საქმის წარმოება არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ გამოხატვის თავისუფლებას.

მხარეებს შორის სადავო არ ყოფილა, რომ ცილისწამებისთვის მომჩივნის მსჯავრდება წარმოადგენდა ჩარევას მისი გამოხატვის თავისუფლების უფლებაში. ჩარევა ეფუძნებოდა ისლანდიის სისხლის სამართლის კოდექსის სავარაუდო განმარტებას და ამყარებდა ეროვნული სასამართლო პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ეროვნული კანონმდებლობის განმარტება სწორედ ეროვნული ხელისუფლების ორგანოების ფუნქციაა. მხარეებს შორის აგრეთვე სადავო არ ყოფილა, რომ მომჩივნის მსჯავრდება ემსახურებოდა სხვათა დაცვის ლეგიტიმურ მიზანს.

ამრიგად, სტრასბურგის სასამართლოს უნდა დაედგინა იყო თუ არა მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

63. სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ -ერთ უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს; მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის თანახმად, იგი ეხება არა მხოლოდ იმ ,,ინფორმაციასა" და "მოსაზრებებს", რომლებიც კარგად ან გულგრილად არის მიღებული ან არ არის ჩათვლილი შეურაცხმყოფელად, არამედ იმ ,,ინფორმაციასა" და "მოსაზრებებსაც", რომლებიც შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი და გამაოგნებელია. გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება რიგ გამონაკლისებს, რომლებიც საკმაოდ ვიწროდ უნდა იყოს ინტერპრეტირებული და თითოეული ცალკეული შეზღუდვის აუცილებლობა დამაჯერებლად უნდა იყოს დადგენილი (იხ. "Observer'' და "Guardian'' გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება სერია A. # 216. გვ. 29-30, პარ. 59). წინამდებარე საქმეში მომჩივანმა თავისი მოსაზრება გამოხატა გაზეთში მათი გამოქვეყნებით. შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო პრესის განსაკუთრებული როლი სახელმწიფოში, რომელიც კანონის უზენაესობით იმართება (იხ. კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ; 1992 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება სერია A. # 236. გვ. 23, პარ. 43). თუმცა პრესამ არ უნდა გადააბიჯოს დადგენილ ფარგლებს, მათ შორის ,,სხვათა რეპუტაციის დასაცავად", სწორედ მას აწევს საზოგადოებისათვის ინტერესის მქონე

ინფორმაციისა და აზრების გადაცემის მისია. გარდა იმისა, რომ პრესის ამოცანას წარმოადგენს აღნიშნული ინფორმაციისა და აზრების გავრცელება, საზოგადოებასაც აქვს მისი მიღების უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში პრესა უბრალოდ ვერ შეასრულებდა თავის სასიცოცხლო მნიშვნელობის - "მოდარაჯე ძაღლის" – ფუნქციას (იხ. ზემოთ აღნიშნული Observer'' და "Guardian'' გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ;

65. რაც შეეხება საქმის კონკრეტულ ვითარებას, სასამართლო ვერ მიიღებს მთავრობის არგუმენტს, რომ მომჩივნის სტატიებში გაკეთებული განცხადებები არაობიექტურია და მოკლებულია ფაქტობრივ საფუძველს. პირველი სტატიის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს არამართებული ქცევის კონკრეტული შემთხვევა – სკაფტი იონსონის საქმე, – რომელიც ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი გახდა და რისთვისაც პოლიციელი პასუხისგებაში მისცეს. საკამათო არ არის, რომ აღნიშნულ შემთხვევას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. რაც შეეხება სტატიის სხვა ფაქტობრივ ელემენტებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ისინი ძირითადად წარმოადგენენ მინიშნებებს არა ავტორის, არამედ სხვათა მიერ გამოთქმულ "ჭორებსა" და "მითქმა–მოთქმაზე", ანუ "საზოგადოებრივ აზრზე", რომელიც ეხებოდა პოლიციელების სისასტიკეში დადანაშაულებას. ასე მაგალითად, ახალგაზრდა კაცის პალატის მეზობლებმა თქვეს და საავადმყოფოს პერსონალმა დაადასტურა, რომ იგი პოლიციელების მიერ იყო დაშავებული. როგორც კომისიამ აღნიშნა, არ იყო დადგენილი, რომ ეს ამბავი აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და გამონაგონს წარმოადგენდა.

გარდა ამისა, პირველი სტატიის თანახმად, მომჩივანმა აღმოაჩინა, რომ ადამიანების უმრავლესობას სმენია ამგვარი ამბების შესახებ, რომლებიც იმდენად წააგავდა ერთმანეთს, რომ არ შეიძლებოდა მათი იგნორირება სიცრუის საბაბით. მოკლედ რომ ვთქვათ, მომჩივანი, ძირითადად, ყვებოდა იმას, რაც სხვების მიერ იყო ნათქვამი პოლიციის სისასტიკის შესახებ. რეიკიავიკის სისხლის სამართლის სასამართლომ მას განაჩენი გამოუტანა დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან მან ვერ შეძლო დაესაბუთებინა ის, რაც ჩათვლილი იყო მის სიტყვიერ ბრალდებად, კერძოდ, ფაქტი, რომ რეიკიავიკის პოლიციის დაუკონკრეტებელი წევრების მხრიდან ადგილი ჰქონდა მთელი რიგი სერიოზული ძალადობის აქტებს, რასაც მოჰყვა მსხვერპლთა დაინვალიდება, ამასთანავე, სიყალბისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულების ფაქტი (იხ.

პარ. 9(9-10), 10(15) და 24). მომჩივნისგან აღნიშნული განცხადებების ჭეშმარიტების დამტკიცების მოთხოვნით, სასამართლოს აზრით, მას დაუყენეს უსაფუძვლო, თითქმის შეუძლებელი ამოცანა.

66. სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს მთავრობის მოსაზრებას იმის თაობაზე, თითქოსდა მომჩივნის სტატიების ძირითადი მიზანი იყო მთლიანად რეიკიავიკის პოლიციის რეპუტაციის შელახვა. პირველ რიგში, მისი კრიტიკა არ შეიძლება მიჩნეული იყოს რეიკიავიკის პოლიციის ყველა, ან რომელიმე კონკრეტული წევრის წინააღმდეგ მიმართულად. როგორც აღნიშნულია პირველ სტატიაში, მომჩივანი ასკვნის, რომ ,,შედარებით უმნიშვნელო რაოდენობა არის პასუხისმგებელი" და იმედს გამოთქვამდა, რომ გამოძიებაც აჩვენებდა ამას. მეორეც, მომჩივანი, ძირითადად, სხვების ნათქვამს გადმოსცემდა. აღნიშნული გარემოებებითა და პირველი სტატიის ყურადღებით შესწავლით დასტურდება მომჩივნის არგუმენტი, რომ მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა იუსტიციის მინისტრის იძულება, რათა მას შეექმნა დამოუკიდებელი და ობიექტური ორგანო პოლიციის სისასტიკის საჩივრების გამოსაძიებლად. მეორე სტატია, რომელიც სატელევიზიო გადაცემაში პოლიციის ოფიცრის მიერ გაკეთებული კონკრეტული განცხადებების საპასუხოდ დაიწერა, პირველი სტატიის გაგრძელებას წარმოადგენს.

67. სტატიები ასახავდნენ, და ეს ფაქტი არ გამხდარა კამათის საგანი, საზოგადოებისათვის სერიოზულ პრობლემას. სრულ სიმართლეს წარმოადგენს, რომ ორივე სტატია საკმაოდ მძაფრად ჟღერდა. თუმცა, ითვალისწინებს რა მათ მიზანს და იმ შედეგს, რომლის მისაღწევადაც იყვნენ ისინი გამიზნული, სასამართლო მიიჩნევს, რომ მათში გამოყენებული სტილი და სიტყვები არ შეიძლება გადაჭარბებულად ჩაითვალოს.

68. დაბოლოს, სასამართლო მიიჩნევს, რომ გამამტყუნებელ განაჩენსა და საბრალდებო დასკვნას შეეძლო საზოგადოებისათვის მტკივნეულ საკითხზე ღია დისკუსიის ჩახშობა.

69. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ჩარევა არ წარმოადგენდა ,,აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში".

70. შესაბამისად, საქმე გვაქვს კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევასთან.